

ნორმათა პირველი ვერსიები შეიმუშავეს ს. ჯანაშიამ (მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში) და ლ. ლეჟავამ (მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში), გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

ნორმის პროექტის ახალი რედაქცია მოამზადა თამარ ვაშაკიძემ.

პროექტი განხილულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე (2022 წლის 22 ნოემბერს) და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2022 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე.

სახელისა და გვარის ერთად ბრუნება

სახელისა და გვარის ერთად ბრუნებისას გასათვალისწინებელია შემდეგი წესები:

1. თუ სახელი უსწრებს გვარს, ფორმაცვალებადია მხოლოდ ეს უკანასკნელი (გვარი).

სახ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ი	ილია	ჭავჭავაძე
მოთხრ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-მა	ილია	ჭავჭავაძე-მ
მიც.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ს	ილია	ჭავჭავაძე-ს
ნათ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ის	ილია	ჭავჭავაძ-ის
მოქმ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ით	ილია	ჭავჭავაძ-ით
ვით.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ად	ილია	ჭავჭავაძე-დ
წოდ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ო	ილია	ჭავჭავაძე

1.1. საკუთარი სახელი ფორმაუცვლელად წარმოდგება მაშინაც, როცა მას მოჰყვება გვართან გათანაბრებული სიტყვა (რომელიც პირს ახასიათებს პროფესია-თანამდებობისა თუ სხვა ნიშნის მიხედვით).

სახ.	დავით	აღმაშენებელ-ი	თამარ	მეფე
მოთხრ.	დავით	აღმაშენებელ-მა	თამარ	მეფე-მ
მიც.	დავით	აღმაშენებელ-ს	თამარ	მეფე-ს
ნათ.	დავით	აღმაშენებელ-ის	თამარ	მეფ-ის
მოქმ.	დავით	აღმაშენებლ-ით	თამარ	მეფ-ით
ვით.	დავით	აღმაშენებლ-ად	თამარ	მეფე-დ
წოდ.	დავით	აღმაშენებელ-ო	თამარ	მეფე-ვ

ამავე წესს მისდევს ისეთი ტიპის გამოთქმები, როგორებიცაა **ABC სამკუთხედი, B კუთხე** და მისთ.

1.2. ორმაგი გვარის შემთხვევაში პირველი კომპონენტი (ფუძემოვნიანიცა და ფუძეთანხმოვნიანიც) ფუძის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი.

სახ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ი	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე
მოთხრ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-მა	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე-მ
მიც.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ს	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე-ს
ნათ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ის	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძ-ის

მოქმ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ით	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე-ით
ვით.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ად	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე-დ
წოდ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ო	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე

1.3. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა კომპოზიტის პირველი ნაწილის ბოლო ხმოვანი ი ფუძისეულია.

სახ.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ი
მოთხრ.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-მა
მიც.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ს
ნათ.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ის
მოქმ.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ით
ვით.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ად
წოდ.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ო

1.4. ზოგჯერ სახელსა და გვარს ახლავს მამის სახელიც (ძე ან ასული საზოგადო სახელების თანხლებით). ასეთ შემთხვევებში ძე ისე შეეწყობა მომდევნო წევრს (კერძოდ, გვარს) ბრუნვაში, როგორც ფუძეხმოვნიანი ზედსართავი სახელი, ხოლო ასული საკუთარ სახელს (კერძოდ, გვარს) ბრუნვაში ეთანხმება ისე, როგორც პროფესია-საქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვა.

სახ.	ვახტანგ	დავითის	ძე	ჩხაიძე
მოთხრ.	ვახტანგ	დავითის	ძე	ჩხაიძე-მ
მიც.	ვახტანგ	დავითის	ძე	ჩხაიძე-ს
ნათ.	ვახტანგ	დავითის	ძე	ჩხაიძე-ის
მოქმ.	ვახტანგ	დავითის	ძე	ჩხაიძე-ით
ვით.	ვახტანგ	დავითის	ძე	ჩხაიძე-დ
წოდ.	ვახტანგ	დავითის	ძე	ჩხაიძე

სახ.	რუსუდან	გიორგის	ასულ-ი	ჭრელაშვილ-ი
მოთხრ.	რუსუდან	გიორგის	ასულ-მა	ჭრელაშვილ-მა
მიც.	რუსუდან	გიორგის	ასულ	ჭრელაშვილ-ს
ნათ.	რუსუდან	გიორგის	ასულ	ჭრელაშვილ-ის
მოქმ.	რუსუდან	გიორგის	ასულ	ჭრელაშვილ-ით
ვით.	რუსუდან	გიორგის	ასულ	ჭრელაშვილ-ად
წოდ.	რუსუდან	გიორგის	ასულ-ო	ჭრელაშვილ-ო

1.5. სახელისა და გვარის ინვერსიული რიგით ბრუნებისას (თანამედროვე ქართულის მონაცემთა მიხედვით) ფუძეთანხმოვნიანი გვარი ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში; ნათესაობითსა და მოქმედებითში შეინარჩუნებს ბრუნვისნიშნისეულ ხმოვნით ელემენტს, ხოლო მიცემითსა და ვითარებითში ფუძის სახით წარმოდგება.

სახ.	ორბელიან-ი	გრიგოლ-ი
მოთხრ.	ორბელიან-მა	გრიგოლ-მა
მიც.	ორბელიან	გრიგოლ-ს

ნათ.	ორბელიან-ი	გრიგოლ-ის
მოქმ.	ორბელიან-ი	გრიგოლ-ით
ვით.	ორბელიან	გრიგოლ-ად
წოდ.	ორბელიან-ო	გრიგოლ

1.6. რაც შეეხება ფუძეთანხმოვნის სახელს (ვახტანგი, ნიკოლოზი, დავითი, რუსუდანი, ქეთევანი...), ის შესაბამისი ნიშნებით უნდა გაფორმდეს ყველა ბრუნვაში, მათ შორის – სახელო-ბითშიც (პირის სახელი ფუძის სახით წარმოდგენილი იქნება მხოლოდ წოდ. ბრუნვაში).

სახ.	ბარათაშვილ-ი	ნიკოლოზ-ი
მოთხრ.	ბარათაშვილ-მა	ნიკოლოზ-მა
მიც.	ბარათაშვილ	ნიკოლოზ-ს
ნათ.	ბარათაშვილ-ი	ნიკოლოზ-ის
მოქმ.	ბარათაშვილ-ი	ნიკოლოზ-ით
ვით.	ბარათაშვილ	ნიკოლოზ-ად
წოდ.	ბარათაშვილ-ო	ნიკოლოზ

1.7. ინვერსიული რიგით ბრუნებისას (ჯერ გვარი, ხოლო შემდეგ – სახელი) ფუძეხმოვნის გვარი ყველა ბრუნვაში ფორმაუცვლელად იქნება წარმოდგენილი – იბრუნვის მხოლოდ სახელი.

სახ.	ჭავჭავაძე	ილია
მოთხრ.	ჭავჭავაძე	ილია-მ
მიც.	ჭავჭავაძე	ილია-ს
ნათ.	ჭავჭავაძე	ილია-ს(ი)
მოქმ.	ჭავჭავაძე	ილია-თი
ვით.	ჭავჭავაძე	ილია-დ
წოდ.	ჭავჭავაძე	ილია

1.8. თუ ფუძეხმოვნის გვარს მოსდევს საკუთარი სახელი მამის სახელთან ერთად (ძე ან ასული საზოგადო სახელების თანხლებით), ფორმაცვალეზადია მხოლოდ ძე ან ასული. რაც შეეხება სახელსა და გვარს, ისინი ფუძის სახით წარმოდგებიან.

სახ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითის ძე	სოხაძე	ნანა	თამაზის ასული
მოთხრ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითის ძე-მ	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-მა
მიც.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითის ძე-ს	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ს
ნათ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითის ძ-ის	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ის
მოქმ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითის ძ-ით	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ით
ვით.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითის ძე-დ	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ად
წოდ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითის ძე-ო	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ო

1.9. ფუძეთანხმოვნის გვარის შემთხვევაში ფორმაცვალეზადია საზოგადო სახელები – ძე ან ასული; პირის სახელი ყველა ბრუნვაში ფუძის სახით წარმოდგება, ხოლო გვარი იბრუნვის ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე (ფუძეთანხმოვნის) ზედსართავი სახელი.

სახ.	ჭრელაშვილ-ი	რუსუდან	გიორგის	ასულ-ი
მოთხრ.	ჭრელაშვილ-მა	რუსუდან	გიორგის	ასულ-მა
მიც.	ჭრელაშვილ	რუსუდან	გიორგის	ასულ-ს
ნათ.	ჭრელაშვილ-ი	რუსუდან	გიორგის	ასულ-ის
მოქმ.	ჭრელაშვილ-ი	რუსუდან	გიორგის	ასულ-ით
ვით.	ჭრელაშვილ	რუსუდან	გიორგის	ასულ-ად
ნოდ.	ჭრელაშვილ-ო	რუსუდან	გიორგის	ასულ-ო

სახ.	გედევანიშვილ-ი	ლუკა	ნოდარის	ძე
მოთხრ.	გედევანიშვილ-მა	ლუკა	ნოდარის	ძე-მ
მიც.	გედევანიშვილ	ლუკა	ნოდარის	ძე-ს
ნათ.	გედევანიშვილ-ი	ლუკა	ნოდარის	ძე-ის
მოქმ.	გედევანიშვილ-ი	ლუკა	ნოდარის	ძე-ით
ვით.	გედევანიშვილ	ლუკა	ნოდარის	ძე-დ
ნოდ.	გედევანიშვილ-ო	ლუკა	ნოდარის	ძე-ო

დასაბუთება

სახელისა და გვარის ერთად ბრუნებისას (მართლწერის თვალსაზრისით) რამდენიმე პრობლემაა მოსაგვარებელი:

1. დასაბუთებულია ის შემთხვევა, როცა ჯერ ფუძეთანხმოვნია გვარია წარმოდგენილი, ხოლო შემდეგ პირის სახელი (ბარათაშვილი ნიკოლოზის თუ ბარათაშვილ ნიკოლოზის? ბარათაშვილი ნიკოლოზით თუ ბარათაშვილ ნიკოლოზით?);

2. ცვლილებას საჭიროებს (პოსტპოზიციის შემთხვევაში) ფუძეთანხმოვნია საკუთარი სახელის სახელობით ბრუნვაში გაფორმების საკითხი (ბარათაშვილი ნიკოლოზი თუ ბარათაშვილი ნიკოლოზ?);

3. გასარკვევია ორმაგი გვარის გამოყენებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხებიც, კერძოდ – როცა კომპოზიციის პირველი ნაწილი ფუძეთანხმოვნია გვარით არის წარმოდგენილი (ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე თუ ავთანდილ კვეზერელ-კოპაძე? ავთანდილ კვეზერელი-კოპაძემ თუ ავთანდილ კვეზერელმა-კოპაძემ, ავთანდილ კვეზერელ-კოპაძემ...);

4. საყურადღებოა ის შემთხვევებიც, როცა სახელსა და გვარს ახლავს მამის სახელი ძე ან ასული საზოგადო სახელების თანხლებით (იგულისხმება როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობა): რუსუდან გიორგის ასულ ჭრელაშვილის თუ რუსუდან გიორგის ასული ჭრელაშვილის? ჭრელაშვილმა რუსუდანმა გიორგის ასულმა თუ ჭრელაშვილმა რუსუდან გიორგის ასულმა?

საკუთარი სახელის გვართან ერთად ბრუნებისას (როცა სახელი უსწრებს გვარს) ფორმაცვალეზადია მხოლოდ გვარი.

სახ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ი	ილია	ჭავჭავაძე
მოთხრ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-მა	ილია	ჭავჭავაძე-მ
მიც.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ს	ილია	ჭავჭავაძე-ს
ნათ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ის	ილია	ჭავჭავაძე-ის
მოქმ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ით	ილია	ჭავჭავაძე-ით
ვით.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ად	ილია	ჭავჭავაძე-დ
ნოდ.	ნიკოლოზ	ბარათაშვილ-ო	ილია	ჭავჭავაძე

საკუთარი სახელი ფორმაუცვლელია მაშინაც, თუ მას მსაზღვრელად მოსდევს გვართან განაზღვრული სიტყვა, რომელიც პირს ახასიათებს პროფესია-თანამდებობისა თუ სხვა ნიშნის მიხედვით: **დავით რექტორი, ბაგრატ მეოთხე, დავით აღმაშენებელი...**

სახ.	დავით	აღმაშენებელ-ი	თამარ	მეფე
მოთხრ.	დავით	აღმაშენებელ-მა	თამარ	მეფე-მ
მიც.	დავით	აღმაშენებელ-ს	თამარ	მეფე-ს
ნათ.	დავით	აღმაშენებელ-ის	თამარ	მეფ-ის
მოქმ.	დავით	აღმაშენებლ-ით	თამარ	მეფ-ით
ვით.	დავით	აღმაშენებლ-ად	თამარ	მეფე-დ
ნოდ.	დავით	აღმაშენებელ-ო	თამარ	მეფე-ვ

ამავე წესს მოსდევს ისეთი ტიპის გამოთქმები, როგორებიცაა **ABC სამკუთხედი, B კუთხე** და მისთ.

ორმაგი გვარის შემთხვევაში პირველი კომპონენტი (ფუძეთანხმოვნინაცა და ფუძეხმოვნინაც) ფუძის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი; იბრუნვის კომპოზიტის მხოლოდ მეორე ნაწილი.

სახ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ი	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე
მოთხრ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-მა	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე-მ
მიც.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ს	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე-ს
ნათ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ის	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძ-ის
მოქმ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ით	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძ-ით
ვით.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ად	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე-დ
ნოდ.	თინათინ	სვანიძე-მჭედლიშვილ-ო	ავთანდილ	კვეზერელ-კოპაძე

გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა კომპოზიტის პირველი ნაწილის ბოლო ხმოვანი ი ფუძისეულია.

სახ.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ი
მოთხრ.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-მა
მიც.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ს
ნათ.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ის
მოქმ.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ით
ვით.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ად
ნოდ.	ლადო	ალექსი-მესხიშვილ-ო

ზემოთქმული განსაკუთრებით შეეხება ფუძეთანხმოვნიან გვარებს, რომლებიც ხშირად სახელობითბრუნვიანი ვარიანტითაც დასტურდებიან მთელ პარადიგმაში (იგულისხმება კომპოზიტის პირველი ნაწილი: სახ. ავთანდილ **კვეზერელი-კოპაძე**, მოთხრ. ავთანდილ **კვეზერელი-კოპაძემ...**), ან კიდევ – კომპოზიტის ორივე ნაწილი დაირთავს ბრუნვის ნიშნებს (სახ. ავთანდილ **კვეზერელი-კოპაძე**, მოთხრ. ავთანდილ **კვეზერელმა-კოპაძემ...**), რაც უმართებულოა.

ზოგჯერ სახელსა და გვარს ახლავს მამის სახელიც (**ძე** ან **ასული** საზოგადო სახელების თანხლებით). ასეთ შემთხვევებში **ძე** ისე შეენყობა მომდევნო წევრს (კერძოდ, გვარს) ბრუნვაში, როგორც ფუძეხმოვნიანი ზედსართავი სახელი, ხოლო **ასული** გვარს ბრუნვაში ეთანხმება ისე, რო-

გორც პროფესია-საქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვა.

სახ.	ვახტანგ	დავითისძე	ჩხაიძე	რუსუდან	გიორგის	ასულ-ი	ჭრელაშვილ-ი
მოთხრ.	ვახტანგ	დავითისძე	ჩხაიძე-მ	რუსუდან	გიორგის	ასულ-მა	ჭრელაშვილ-მა
მიც.	ვახტანგ	დავითისძე	ჩხაიძე-ს	რუსუდან	გიორგის	ასულ	ჭრელაშვილ-ს
ნათ.	ვახტანგ	დავითისძე	ჩხაიძ-ის	რუსუდან	გიორგის	ასულ	ჭრელაშვილ-ის
მოქმ.	ვახტანგ	დავითისძე	ჩხაიძ-ით	რუსუდან	გიორგის	ასულ	ჭრელაშვილ-ით
ვით.	ვახტანგ	დავითისძე	ჩხაიძე-დ	რუსუდან	გიორგის	ასულ	ჭრელაშვილ-ად
წოდ.	ვახტანგ	დავითისძე	ჩხაიძე	რუსუდან	გიორგის	ასულ-ო	ჭრელაშვილ-ო

თანამედროვე ქართულში ნაკლებად დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა საკუთარი სახელი მოსდევს გვარს. მოქმედი ნორმის თანახმად, თუ გვარი უსწრებს სახელს, იბრუნვის ორივე კომპონენტი, ოღონდ სახ. ბრუნვაში პირის სახელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი (ორბელიან-ი გრიგოლ). რაც შეეხება მოქმ. და ვით. ბრუნვებს, მათთან მითითებულია ასე – „არ გვხვდება“.

სახელი და გვარი ინვერსიული რიგით (ჯერ გვარი და შემდეგ სახელი) ძირითადად დასტურდება ანბანურ სივრცეში, სხვადასხვა სახის დავთარსა და ენციკლოპედიურ ლექსიკონებში, აგრეთვე (იშვიათად, მაგრამ მაინც) – სპეციფიკურ კონტექსტებში, მაგ., „თავართქილაძე დავითი მოემზადოს საპასუხოდ“; „გელოვანმა გიორგიმ წარმოადგინოს ინციდენტის ამსახველი მასალა“, „გზირიშვილ ნინოს გადაეცეს პირველი ხარისხის დიპლომი“ და მისთ. აღნიშნული ტიპის შემთხვევები, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია ოფიციალურ-საქმიანი თუ კანცელარიული სტილისათვის.

თანამედროვე ქართულში ბოლოთანხმოვნის გვარის ინვერსიული წყობით გამოყენებისას ორი პარადიგმა გამოიყოფა:

ა) გვარი ისე ეთანხმება სახელს ბრუნვაში, როგორც სპეციალობა-საქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვა (ამ ტიპის შემთხვევები შედარებით იშვიათია).

სახ.	ორბელიან-ი	გრიგოლ-ი
მოთხრ.	ორბელიან-მა	გრიგოლ-მა
მიც.	ორბელიან	გრიგოლ-ს
ნათ.	ორბელიან	გრიგოლ-ის
მოქმ.	ორბელიან	გრიგოლ-ით
ვით.	ორბელიან	გრიგოლ-ად
წოდ.	ორბელიან-ო	გრიგოლ

ბ) ადამიანის გვარი იბრუნვის ისე, როგორც ბატონი და ქალბატონი საკუთარ სახელებთან ერთად. სწორედ ეს სახეობა დასტურდება დღეს ყველაზე ხშირად ზეპირ თუ წერით მეტყველებაში (სახელისა და გვარის ინვერსიული წყობით გამოყენებისას). რაც შეეხება ბოლოთანხმოვნის საკუთარ სახელს (ვახტანგი, გრიგოლი, დავითი, რუსუდანი, ქეთევანი...), ის შესაბამისი ნიშნებით გაფორმდება ყველა ბრუნვაში, მათ შორის – სახელობითშიც. პირის სახელი ისე უნდა აისახოს პარადიგმაში, როგორც წინადადებაშია გამოყენებული სახ. ბრუნვის ფუნქციის შესრულებისას (მაგ., ბარათაშვილი ნიკოლოზი [და არა ნიკოლოზ] გვირგვინია ქართული რომანტიკული ლირიკისა...). ის (პირის სახელი) ფუძის სახით წარმოდგება მხოლოდ წოდებით ბრუნვაში.

სახ.	ორბელიან-ი	გრიგოლ-ი
მოთხრ.	ორბელიან-მა	გრიგოლ-მა
მიც.	ორბელიან	გრიგოლ-ს

ნათ.	ორბელიან-ი	გრიგოლ-ის
მოქმ.	ორბელიან-ი	გრიგოლ-ით
ვით.	ორბელიან	გრიგოლ-ად
წოდ.	ორბელიან-ო	გრიგოლ

სახ.	ბარათაშვილ-ი	ნიკოლოზ-ი
მოთხრ.	ბარათაშვილ-მა	ნიკოლოზ-მა
მიც.	ბარათაშვილ	ნიკოლოზ-ს
ნათ.	ბარათაშვილ-ი	ნიკოლოზ-ის
მოქმ.	ბარათაშვილ-ი	ნიკოლოზ-ით
ვით.	ბარათაშვილ	ნიკოლოზ-ად
წოდ.	ბარათაშვილ-ო	ნიკოლოზ

სახელისა და გვარის ინვერსიული რიგით ბრუნებისას ფუძეხმოვნისანი გვარი ყველა ბრუნვაში ფორმაუცვლელად იქნება წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევებში იბრუნვის მხოლოდ სახელი.

სახ.	ჭავჭავაძე	ილია
მოთხრ.	ჭავჭავაძე	ილია-მ
მიც.	ჭავჭავაძე	ილია-ს
ნათ.	ჭავჭავაძე	ილია-ს(ი)
მოქმ.	ჭავჭავაძე	ილია-თი
ვით.	ჭავჭავაძე	ილია-დ
წოდ.	ჭავჭავაძე	ილია

თუ ფუძეხმოვნიან გვარს მოსდევს საკუთარი სახელი მამის სახელთან ერთად, ბრუნვის ნიშნებს დაირთავენ მხოლოდ **ძე** ან **ასული**. რაც შეეხება გვარსა და სახელს, ისინი ფუძის სახით იქნებიან წარმოდგენილი ყველა ბრუნვაში.

სახ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითისძე	სოხაძე	ნანა	თამაზის ასული
მოთხრ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითისძე-მ	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-მა
მიც.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითისძე-ს	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ს
ნათ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითისძე-ის	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ის
მოქმ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითისძე-ით	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ით
ვით.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითისძე-დ	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ად
წოდ.	ჩხაიძე	ვახტანგ	დავითისძე-ო	სოხაძე	ნანა	თამაზის ასულ-ო

ფუძეთანხმოვნისანი გვარის შემთხვევაში ფორმაცვალეზადია საზოგადო სახელები – **ძე** ან **ასული**; პირის სახელი ყველა ბრუნვაში ფუძის სახით გამოიხატება, ხოლო გვარი იბრუნვის ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე (ფუძეთანხმოვნისანი) ზედსართავი სახელი.

სახ.	ჭრელაშვილ-ი	რუსუდან	გიორგის	ასულ-ი
მოთხრ.	ჭრელაშვილ-მა	რუსუდან	გიორგის	ასულ-მა
მიც.	ჭრელაშვილ	რუსუდან	გიორგის	ასულ-ს
ნათ.	ჭრელაშვილ-ი	რუსუდან	გიორგის	ასულ-ის
მოქმ.	ჭრელაშვილ-ი	რუსუდან	გიორგის	ასულ-ით

ვით.	ჭრელაშვილ	რუსუდან	გიორგის	ასულ-ად
ნოდ.	ჭრელაშვილ-ო	რუსუდან	გიორგის	ასულ-ო
სახ.	გედევანიშვილ-ი	ლუკა	ნოდარის	ძე
მოთხრ.	გედევანიშვილ-მა	ლუკა	ნოდარის	ძე-მ
მიც.	გედევანიშვილ	ლუკა	ნოდარის	ძე-ს
ნათ.	გედევანიშვილ-ი	ლუკა	ნოდარის	ძ-ის
მოქმ.	გედევანიშვილ-ი	ლუკა	ნოდარის	ძ-ით
ვით.	გედევანიშვილ	ლუკა	ნოდარის	ძე-დ
ნოდ.	გედევანიშვილ-ო	ლუკა	ნოდარის	ძე-ო

ლიტერატურა

1. არაბული ავთ., ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2004.
2. აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბილისი, 2009.
3. დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1973.
4. ვაშაკიძე თ., სახელისა და გვარის შებრუნებული ნცობისათვის ქართული და არაქართული გვარების მიხედვით, ქსკს, 2004.
5. თანამედროვე ქართული ენა, მორფოლოგია, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 2011.
6. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 2010.
7. კვაჭაძე ლ., ქართული ენა, თბილისი, 2018.
8. ლეჟავა ლ., მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.
9. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბილისი, 1973.
10. ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი, 1998.
11. ჯანაშია ს., მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში (წითელი დროშის თუ წითელ დროშის?), თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.